



შენიშვნები და კომენტარები
ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე
სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის
ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

22 აპრილი, 2026

წარმოდგენთ შენიშვნებს 2026 წლის 3 აპრილს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე [გამოქვეყნებულ](#) სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების (გზშ) შეფასების ანგარიშზე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილ დაზუსტებულ/დამატებით დოკუმენტაციაში მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოდგენილი შენიშვნების უმეტესობა კვლავაც აქტუალურია. კომპანიამ უმეტესწილად მხოლოდ ფორმალურად განაახლა გზშ ანგარიში (დაამატა ცხრილები და თავები), მაგრამ შინაარსობრივად კვლავ არ უპასუხა მთავარ შენიშვნებს: ეკონომიკურ გათვლებთან, განახლებულ ბიომრავალფეროვნების სეზონურ კვლევებთან და რეალურ ალტერნატივებთან დაკავშირებით.

1. ხარჯ-სარგებლიანობის შეფასება

დანართი 3-ში ვკითხულობთ, რომ ჩვენი შენიშვნა ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზთან დაკავშირებით გათვალისწინებულია და ინფორმაცია დამატებულია 6.14 ქვეთავში. ამავე ქვეთავში მითითებულია, რომ „სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება დანაკარგს“, მაგრამ კვლავ არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ციფრები.

მიუხედავად იმისა, რომ 6.14 თავში მოყვანილია საწარმოო პროცესის ეკონომიკური ღირებულების ამსახველი ციფრები, დოკუმენტი მაინც არ შეიცავს სრულყოფილ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს. კომპანიას არ მოუხდენია გარემოზე მიყენებული ზიანის (მათ შორის ბიომრავალფეროვნების დანაკარგის, 15,441 კვ.მ ტყის ფართობის დეგრადაციის, ეკოსისტემური სერვისების დაკარგვის და ემისიების ზრდის) ფულადი შეფასება, რაც შეუძლებელს ხდის იმის ობიექტურ შეფასებას, მართლაც აღემატება თუ არა ეკონომიკური სარგებელი გარემოსდაცვით დანაკარგს. დოკუმენტში წარმოდგენილი ციფრები ძირითადად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მოგებას.

შესაბამისად, ეკონომიკური სარგებელი არ არის შედარებული იმ პოტენციურ ხარჯებთან, რაც სახელმწიფომ ან ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიძლება გასწიოს გარემოს ხარისხის გაუარესების შედეგად. კომპანიამ

უნდა წარმოდგინოს გათვლები, სადაც გარემოზე ზემოქმედება შეფასებული იქნება ფულად ერთეულებში.

2. ალტერნატივების განხილვა

ნულოვან ალტერნატივა კვლავ ფორმალურად არის განხილული და თავიდანვე უარყოფილია. დამატებული 3.2 ქვეთავი კვლავ არ იძლევა საშუალებას შეფასდეს ალტერნატივები გარემოსდაცვითი კრილში.

აუცილებელია წარმოდგენილი იყოს მინიმუმ ორი განსხვავებული ადგილის ან ტექნოლოგიური ვარიანტის შედარებითი ანალიზი, სადაც კრიტერიუმებად გამოყენებული იქნება გარემოზე ზემოქმედების ხარისხი. განხილული ალტერნატივები ატარებს ფორმალურ ხასიათს და არ იძლევა სხვადასხვა ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი რისკების რეალურად შედარების შესაძლებლობას.

3. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება

ჩვენ შენიშვნაზე პასუხად დანართ 3-ში ვკითხულობთ, რომ 417-ე დადგენილება არ მოითხოვს რეგიონში არსებული ჯანმრთელობის სტატისტიკის ასახვას. აქვე აღნიშნავს, რომ 2024 წლის გზშ ანგარიშის ფონურ ნაწილში განხილულია საპროექტო არეალების ფონური მონაცემები, მათ შორის რეგიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული სტატისტიკა.

მიუხედავად იმისა, თუ რას ავალდებულებს მინიმალური სტანდარტი, გზშ-ის მიზანია რეალური ზემოქმედების შეფასება. არსებული ფონური მდგომარეობის (სტატისტიკის) გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს, რამდენად დამიმდება მოსახლეობის მდგომარეობა დამატებითი ემისიების პირობებში. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მონაცემების ინტეგრირება საწყისი მდგომარეობის სრულყოფილად შესაფასებლად.

4. წარმადობის გაზრდის საკითხი

კომპანიამ განახლებულ გზშ ანგარიშში დაამატა 2.6 ქვეთავი და დააზუსტა სამსხვრევი დანადგარის მონაცემები. მითითებულია, რომ სამსხვრევი დანადგარის წარმადობა გათვალისწინებულია ფაბრიკის მაქსიმალურ მაჩვენებელში (3,000,000 ტ/წელ).

მიუხედავად დაზუსტებისა, კვლავ ბუნდოვანია, თუ რატომ არის საჭირო დანადგარის წარმადობის გაზრდა, თუკი ფაბრიკის ჯამური წარმადობა არ იცვლება. გაუგებარია, როგორ იზრდება კონკრეტული კვანძის (სამსხვრევის) წარმადობა ისე, რომ ეს არ აისახება ფაბრიკის ჯამურ დატვირთვაზე. ამასთან, არ არის წარმოდგენილი ცხრილი, სადაც შედარებული იქნებოდა ძველი და ახალი დანადგარების სიმძლავრეები.

5. ბიომრავალფეროვნების შეფასება

ბიომრავალფეროვნების კვლევასთან დაკავშირებით ჩვენი შენიშვნა კვლავ გაუთვალისწინებელია. კომპანია კვლავ ეყრდნობა 2023 წლის კვლევებს და აცხადებს, რომ ახალი კვლევის ჩატარება „მიზანშეწონილად არ ჩაითვალა“, რადგან ტერიტორია უკვე შესწავლილი იყო საბაზისო პროექტის ფარგლებში. ეს არგუმენტი სუსტია, რადგან 3 წლის წინ, მხოლოდ ორ სეზონზე (გაზაფხული-ზაფხული) ჩატარებული კვლევა ვერ ასახავს სრულ სურათს. გარდა ამისა, 2024 წლის ნებართვის

საფუძვლად გამოყენებული ძველი მონაცემები შესაძლოა აღარ შეესაბამებოდეს 2026 წლის მდგომარეობას.

6. გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა

ანგარიშის 11.3 თავში და დანართ 3-ში გაწერილია რეაგირების მექანიზმები. დაკონკრეტდა ნაბიჯები ჰაერის, წყლისა და ხმაურის ნორმების გადაჭარბებისას (მაგ: მორწყვის ინტენსივობის გაზრდა, ნაკადის დროებითი ჩაკეტვა). თუცა, რეაგირების გეგმაში არ არის მითითებული კონკრეტული დროითი ჩარჩოები (მაგ: რამდენი საათის განმავლობაში უნდა აღმოიფხვრას გადაჭარბება) და არ არის განსაზღვრული საზოგადოების შეტყობინების ვალდებულება საჭიროების შემთხვევებში.

გეგმაში უნდა განისაზღვროს კრიტიკული ზღვარის გადაჭარბების შემთხვევაში საჯარო შეტყობინების ვალდებულება და აღმოფხვრის მკაცრი ვადები (საათობრივ ჭრილში).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში კვლავ საჭიროებს დახვეწას და კომპანიის მიერ, ჩვენს შენიშვნებზე გაცემული პასუხები ვერ აბათილებს წამოჭრილ რისკებს.